დამტკიცებულია
კერძო სკოლა ,,მილენიუმის“ დირექტორის
2023 წლის 22 ნოემბრის N 1/103 ბრძანებით

სკოლა ,,მილენიუმში“

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სკოლა „მილენიუმში“ (შემდგომში – სკოლა) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესს.
1.2. წინამდებარე წესის ვრცელდება სკოლის მფლობელობაში არსებულ სივრცეზე, მ. შ. სასწავლო და სამუშაო სივრცეებზე.
1.3. წინამდებარე წესის მიზანია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები

2.1. სკოლა ყოველდღიურად ლაგდება/სანიტარულად მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ შესაბამისად.
2.2. დალაგება/სანიტარული დასუფთავება ხდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებებითა და „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებებით.
2.3. დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სივრცეში/კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.
2.4. სადეზინფექციო საშუალებები გამოიყენება ეტიკეტზე მითითებული ინსტრუქციის/ანოტაციის შესაბამისად.
2.5. ყოველკვირეულად ტარდება კომპლექსური, ხოლო თვეში ერთხელ – შენობის გენერალური დასუფთავება;
2.6. დერეფნები, საკლასო ოთახები, კაბინეტები და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობ(ებ)ის დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების მდგომარეობაში. ირეცხება იატაკი, იწმინდება მტვრიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები და სხვა).
2.7. ფანჯრები იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ მინიმუმ ორჯერ სასწავლო წლის განმავლობაში;
2.8. სანიტარიული კვანძები მუშავდება სადეზინფექციო საშუალებებით ყოველი შესვენების შემდეგ; დღის ბოლოს, ირეცხება ჯაგრისით, სარეცხი საშუალებით და მუშავდება სადეზინფექციო ხსნარით.
2.9. სახელურები და მოაჯირები სადეზინფექციო ხსნარებით მუშავდება რამდენიმეჯერ დღეში, არაუმეტეს სამ საათიანი ინტერვალისა და დღის ბოლოს;
2.10. სამედიცინო კაბინეტი ექვემდებარება ყოველდღიურ დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;
2.11. კვების ბლოკში ზედაპირები მუშავდება სადეზინფექციო საშუალებებით დილით და საჭიროებისამებრ, ხოლო ინვენტარი და ჭურჭელი ყოველი გამოყენების შემდეგ. იატაკი ირეცხება დღის ბოლოს სადეზინფექციო ხსნარის გამოყენებით.
2.12. სკოლის დასუფთავებისათვის გამოიყენება სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება

განცალკევებით და ექვემდებარება სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. დღის ბოლოს ტილოები ირეცხება სარეცხი ფხვნილით.

2.13. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში დალაგება/სანიტარული დასუფთავება ტარდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს ცენტრის მითითება/რეკომენდაციის შესაბამისად.

2.14. ნაგვის კონტეინერები (სატერფულიანი, ერთჯერადი ცელოფნებით) იცლება ერთჯერადი ხელთათმანებით, მათი 3/4-ით გავსებისთანავე, რათა არ გადაიცვალოს.

2.15. ნაგავი იყრება ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერში, რომელიც შენობიდან არანაკლებ 25-30 მეტრის მოშორებითაა განთავსებული.

2.16. ყოველდღიურად ხორციელდება მყარი ნარჩენების შეგროვება ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და უსაფრთხო გატანა შენობიდან.

2.17. ნაგვის ლპობისა და ხრწნის თავიდან აცილების მიზნით, ყოველდღიურად ხდება კონტეინერების გატანა სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან მუნიციპალური სამსახურის მიერ.
2.18. სკოლის ადმინისტრაციის მიერ სათანადო სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სპეციალიზებული სამსახურის მიერ ტარდება ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილის, ასევე საწყობისა და სარდაფების პერიოდული დამუშავება მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დერატიზაცია).
2.19. შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება, ვენტილაცია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის;
2.20. სკოლაში ხორციელდება წყლის პერიოდული კონტროლი/ანალიზი სპეციალიზებულილიცენზირებული ლაბორატორიის მიერ.

მუხლი 3. დასკვნითი დებულება

3.1. სკოლის მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის ექიმს.
3.2. წინამდებარე წესს ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით;